ხელშეკრულება N 32050102/02/137
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON150000015)

ქ. თბილისი 15 ივლისი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში -შემსყიდველი), მისი დირექტორი გრიგოლ გაგოშიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ალტა“ მისი დირექტორი კახა ჭოველიძის სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის მე-4 პუნქტის, “2015 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის N2174 განკარგულებისა და „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის N12 ბრძანებისა და 2015 წლის 15 ივლისის N693827 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ –კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის (ორგანიზაციული კოდი: 32050102) ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეებისთვის საჭირო 1 918 (ათას ცხრაას თვრამეტი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (შემდგომში - სტანდარტული ლეპტოპი) შესყიდვა (CPV- 30213100).

2.2. შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერილობა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 455 762.00 (ერთი მილიონ ოთხასორმოცდათხუთმეტი ათას შვიდასსამოცდაორი) ლარს.

3.2 ერთი ერთეული სტანდარტული ლეპტოპის ფასი შეადგენს 759.00 (შვიდას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქონლის გადაცემა მისი პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 სამუშაო დღისა, ხოლო

ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.
4.1.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული ტექნიკის შეკეთება ან შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შესყიდული ლეპტოპების ტრანსპორტირებას, ასევე მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში ლეპტოპების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართში აღნიშნული მაჩვენებლების.
5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველმა პროდუქციის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველის თანამშრომლები: გიორგი პატარაშვილი და კონსტანტინე ონოფრიშვილი, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.
6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.3 შემსყიდველის შესაბამისმა წარმომადგენელმა (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) საქონლის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

7 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.
7.3 საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში საქონლის შენახვა მოხდება მიმწოდებელის მფლობელობაში არსებულ სასაწყობო ფართში.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. ანგარიშსწორება მოხდება სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური /სატარებელი კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის No12 ოქმის შესაბამისად 100% -იანი წინასწარი საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე.
8.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1. პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
9.5 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
12.4 მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე დამრღვევ მხარეს აძლევს 15 სამუშაო დღიან დამატებით ვადას. იმ შემთხვევაში თუ დამატებით ვადაშიც ვერ მოხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

15.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში წარუდგენს შემსყიდველს უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას. გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
15.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომელიც გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას.
15.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.
15.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია თანმხლები წერილით დაუბრუნოს მიმოწდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.
15.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.
15.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
15.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.
15.8. გარანტიით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბაჟო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222
დირექტორი გრიგოლ გაგოშიძე

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს „ალტა" , მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #8, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.# GE83BR0000000006467370, სს „ბანკი რესპუბლიკა", კოდი: REPLGE22, ს/კ 211380691
დირექტორი კახა ჭოველიძე

_____
(ხელმოწერა)

დანართი #1

ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები	სურათი	განზ	რ-ობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
LENOVO Z50-75		ცალი	1 918	759.00	1 455 762
Display 15,6 HD LED, 1366x768					
CPU: AMD A10-7300 10 (4CPU + 6GPU) 3.2GHz / 1.9 GHz, 4MB					
Memory:4 GB DDR3					
HDD: 320GB 5400 rpm					
ODD: DVDRW					
3 USB ports					
Warranty 3 years					

შემსყიდველის მხრიდან

დირექტორი გრიგოლ გაგოშიძე

მიმწოდებლის მხრიდან

დირექტორი კახა ჭოტლიძე

MES 0 15 00693827

15/07/2015

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ გრიგოლ გაგოშიძეს

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2015 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გრძელდება პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“.
მიმდინარე წლის 19 ივნისის N554806 წერილით, საქართველოს საგანმანათლებლო რესურსცენტრებს ეთხოვათ, 2015 წლის ***30 ივნისამდე*** სააგენტოსთვის მოეწოდებინათ ინფორმაცია მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო ***საჯარო სკოლების*** იმ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ, რომლებმაც 2014/2015 სასწავლო წელს დაასრულეს საბაზო საფეხური და რომელთა საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე). ამ ეტაპზე ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.
საქართველოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, 2014-2015 სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეების სავარაუდო რაოდენობამ შეადგინა 1918 ბენეფიციარი (იხილეთ მიბმული ფაილი).
აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს რამდენიმე საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან (თერჯოლა - წერილის N623749, ახალციხე - წერილის N643717 და N642959, ადიგენი - წერილის N623885, სამტრედია - წერილის N615571) სააგენტოში შემოსულია წერილები, სადაც აღნიშნულია რომ რიგ მოსწავლეების ნიშნის გამოყვანისას არის გარკვეული პრობლემები, ძირითადად მოსწავლეებს არ აქვთ შესრულებული საკმარისი რაოდენობის შემაჯამებელი წერები. საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან შემოსულ წერილებში აღნიშნულია, რომ ვინაიდან მოსწავლეების პრობლემები არ არის გამოწვეული მოსწავლის მიზეზით და რადგან მოსწავლე არ არის ვალდებული იცოდეს, რომელ საგანში რამდენი შემაჯამებელი სამუშაო უნდა შეასრულოს, მიგვაჩნია, რომ მასწავლებლის უყურადღებობის გამო მოსწავლე არ უნდა დაზარალდეს. ზემოაღნიშნული წერილები, მიმდინარე წლის 6 ივლისის N651834 წერილით გაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. თუ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბავშვების სასარგებლოდ წარჩინებულთა რაოდენობა გაიზრდება.
გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს სათანადო მოქმედებების უზრუნველყოფა.

დანართი: 1 excel-ის ფაილი;

პატივისცემით,

№	რაიონი/ქალაქი	რაოდენობა	წერილის N
		თბილისი	
1	ვაკე-საბურთალო	85	624093
2	მცელი თბილისი	86	620709
3	ისანი-სამგორი	109	623195
4	დიდუბე-ჩუღურეთი	18	623276
5	გლდანი-ნაძალადევი	58	623239
		სამეგრელო/ზემო სვანეთი	
6	აბაშა	12	624739
7	ზუგდიდი	44	621504
8	მარტვილი	19	616873
9	სენაკი	16	611594
10	ფოთი	13	621077
11	ჩხოროწყუ	27	616497
12	წალენჯიხა	21	569659
13	ხობი	25	599779
14	მესტია	8	609987
		რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	
15	ამბროლაური	5	600720
16	ონი	11	615954
17	ცაგერი	8	616414
18	ლენტეხი	0	621609
		იმერეთი	
19	ვანი	20	611328
20	ზესტაფონი	60	619692
21	თერჯოლა	29	623749
22	სამტრედია	46	604316
23	ქუთაისი	129	614444
24	ჭიათურა	23	617527

25	წყალტუბო	5	612635
26	ტყიბული	28	611073
27	ზაღდათი	6	582224; 596285
28	საჩხერე	34	633349
29	ხარაგაული	15	624521
30	ხონი	20	616720
	კახეთი		
31	ახმეტა	41	615313
32	გურჯაანი	54	616800
33	დედოფლისწყარო	35	616255
34	თელავი	35	608664
35	ლაგოდეხი	25	606818
36	საგარეჯო	20	613472
37	სიღნაღი	34	616438
38	ყვარელი	23	616529
	სამცხე-ჯავახეთი		
39	ადიგენი	11	618469
40	ასპინძა	1	623967
41	ახალქალაქი	2	592508
42	ახალციხე	6	642959
43	ბორჯომი	16	614979
44	წინოწმინდა	6	616538
	გურია		
45	ოზურგეთი	27	601576
46	ჩოხატაური	9	611441
47	ლანჩხუთი	11	616004
	მცხეთა-მთიანეთი		
48	მცხეთა	16	616701

49	დუშეთი	23	616843
50	ყაზბეგი	0	623822
51	თიანეთი	5	612570
		ქვემო ქართლი	
52	რუსთავი	60	617092
53	ბოლნისი	17	620842
54	გარდაბანი	24	613651
55	დმანისი	4	633419
56	თეთრიწყარო	13	616848
57	მარნეული	4	614040
58	წალკა	10	618823
		შიდა ქართლი	
59	გორი	99	622887
60	კასპი	9	614847
61	ქარელი	6	626129
62	ხაშური	62	623654
		აჭარა	
63	ბათუმი	67	614169
64	ქობულეთი	29	615166; 632074
65	ხულო	59	611379
66	ხელვაჩაური	24	612886
67	შუახევი	34	618315
68	ქედა	11	594364
		აფხაზეთი	
69	აფხაზეთი	6	611933

სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 4 მაისი, 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია ბეგიაშვილი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი,სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
ლევან რაზმაძე	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი თაბუაშვილი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
დავით ხუციშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი ბარაბაძე	სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი
ალექსანდრე ტაბატაძე	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების ორგანიზების სამმართველოს უფროსი

დღის წესრიგი:

სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის 2015 წლის CON150000015 კონსოლიდირებულ ტენდერში (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) გამარჯვებული მიმწოდებლის შპს „ალტას“ წერილის განხილვა, მის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელების თაობაზე.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ილია ბეგიაშვილმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ შპს „ალტა“ გამოვლინდა CON150000015 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად.

ილია ბეგიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ 2015 წლის 1 მაისს შპს „ალტამ“ სატენდერო კომისიას წარუდგინა წერილი (თან ერთვის), მის მიერ CON150000015 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელების თაობაზე.

წარმოდგენილ წერილში შპს „ალტა“ აღნიშნავს, რომ მისაწოდებელი ლეპტოპების იმპორტს ახორციელებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მისი განმარტებით, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში ეროვნული ვალუტის კურსი მკვეთრად მერყეობს, კონსოლიდირებული ტენდერით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას კომპანია შესაძლოა რთული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. აღნიშნული ფინანსური პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, კომპანია ითხოვს კომისიის თანხმობას, რათა საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების შეძენა განახორციელონ 100%-ით წინასწარი ანგარიშსწორების პირობით.

ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებით ამჟამად არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ასევე მიმწოდებლის ბიზნეს ინტერესებისა და მის მიერ კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ CON150000015 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შპს „ალტას“ მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების შეძენა განახორციელონ წინასწარი ანგარიშსწორებით (100%-ით ან ნაკლები ოდენობით).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ რეკომენდაცია, რომ შპს „ალტას“ მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერების შეძენა განახორციელონ წინასწარი გადახდის პირობით, 100% ან ნაკლები ოდენობით, შპს „ალტასა“ და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ურთიერთშეთანხმების მიხედვით.

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: **ილია ბეგიაშვილი**

სატენდერო კომისიის წევრები: **ლევან რაზმაძე**

გიორგი ბარაბაძე

გიორგი თაბუაშვილი

დავით ხუციშვილი

ალექსანდრე ტაბატაძე

სხდომის მდივანი: **ქეთევან ქადაგიძე**